დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

დემეტრე დემეტრაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს თავისუფალი ხედვის აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406460235

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუთი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არაგეგმიური

■ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 3 სექტემბრის №1146107 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 17 სექტემბერს განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიაში“ (მისამართი: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50).
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის*** *საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე* ***ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ბ.ბ“ კომპონენტის შემოწმება,***

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი , თანდართული დოკუმენტაცია ***და შეიმუშავეს ვიზიტის დღის წესრიგი*** *(დანართი №1).*

ვიზიტის ფარგლებში, შეფასების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, დაწესებულებისგან გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოებისა და მატერიალური რესურსების შეფასება პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და პროფესიულ სტუდენტთა დაგეგმილ ზღვრულ რაოდენობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ***„ბუღალტრული აღრიცხვა“*** *ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით განხორციელდა პირადი საქმეების გადამოწმება, ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.*

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 6 აპრილის №410222 გადაწყვეტილებით პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 128-ით. რესურსის კომპონენტი (2.2) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.
დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია 2026 წლის 2 აგვისტომდე შეეძინა 32 კომპიუტერი და სრულად აეღჭურვა №312 აუდიტორია, რათა პროგრამის მატერიალური რესურსი 128 პროფესიული სტუდენტის მიღებისთვის საკმარისი ყოფილიყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ წინა საავტორიზაციო წარმოებისას გაცემული რეკომენდაცია — 32 კომპიუტერის შეძენა და №312 აუდიტორიის სრულად აღჭურვა — შესრულებულია. აღნიშნული გარემოება გადამოწმდა დოკუმენტურად და ადგილზე დათვალიერებით. მონიტორინგის შედეგებით დადგინდა, რომ ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ბუღალტრული აღრიცხვა	128	37	3	0

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ბუღალტრული აღრიცხვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

V. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 02/10/2026 წლის №00022427 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ თავისუფალი ხედვის აკადემია ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ შეფასებებს და ფაქტობრივ გარემოებებს.

ნაწილი X. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი თრიალეთის ქ.N 50
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	128
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	37

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	იმიტირებული 128
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

VIII. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ახორციელებს 2025 წლიდან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, იმიტირებულ სასწავლო გარემოში. 2026 წელს, შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით, დაწესებულებამ გაზარდა პროგრამაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა(128). ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის №01/12 ბრძანებით. გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 6 თებერვლიდან 2 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში დაგეგმილი იყო **32 ერთეული კომპიუტერის შეძენა და აუდიტორია №312-ის სრულად აღჭურვა**. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების სრულად შესრულება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 2 აგვისტოსა, უზრუნველყოფა.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს, რომლის ბოლო ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 სექტემბრის №0001/110 ბრძანებით(აღნიშნული ცვლილებები მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა და მოიცავს, მათ შორის, სარეკომენდაციო ჩანაწერის დაზუსტება/გასწორებას და პროგრამის შინაარსობრივ ნაწილს არ ცვლის) , თან ერთვის მატერიალური რესურსების შესახებ დანართი, რომელშიც წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა **32 კომპლექტი კომპიუტერის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია**, რაც ადასტურებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულებას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა **აუდიტორია №312-ის ფაქტობრივი მდგომარეობის ადგილზე გადამოწმება და ვიზუალური დათვალიერება**. დათვალიერების შედეგად დადასტურდა აუდიტორიაში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფაქტობრივი არსებობა და პროგრამის განხორციელებისთვის მისი გამოყენების შესაძლებლობა.

დაწესებულების **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტის შესაბაისად** პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია ორი A და ორი AB სასწავლო გარემო.

A გარემო — აუდიტორია №310 გამოიყენება მოდულის „უცხოური ენა“ განხორციელებისთვის 1–5 კვირის განმავლობაში. აუდიტორია აღჭურვილია 10 ოთხადგილიანი მაგიდით, რაც ჯამურად უზრუნველყოფს 40 სამუშაო ადგილს, ასევე 40 სკამით, ერთი კომპიუტერით, ერთი მონიტორითა და ერთი პრინტერით. **A გარემო — აუდიტორია №108** აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდითა და სკამით, ერთი კომპიუტერით, ერთი მონიტორითა და ერთი პრინტერით. აღნიშნული ორი A გარემოს შესაბამისი ცვლების ორგანიზების პირობებში ჯამური გამტარუნარიანობა შეადგენს **128 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში**.

AB გარემო — აუდიტორია №311 აღჭურვილია 8 ოთხადგილიანი მაგიდით, 32 პროფესიული სტუდენტის პერსონალური კომპიუტერით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდითა და სკამით, მასწავლებლის პერსონალური კომპიუტერით, პრინტერითა და დემონსტრირების ციფრული საშუალებით. აღნიშნული სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა შეადგენს **64 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში**. **AB გარემო — აუდიტორია №312** აღჭურვილია 8 ოთხადგილიანი მაგიდით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდითა და სკამით, მასწავლებლის კომპიუტერით, პრინტერით, დემონსტრირების ციფრული საშუალებითა და 32 პროფესიული სტუდენტის პერსონალური კომპიუტერით. აღნიშნული სასწავლო გარემო, შესაბამისი ცვლების ორგანიზების პირობებში, უზრუნველყოფს **64 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას ორ ცვლაში**.

წარმოდგენილი მტკიცებულებების, გასაუბრების და ვიზუალური დათვალიერების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის, პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების მიზნით აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას. წინა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ **პროგრამის ადამიანური რესურსი დამატებით შვიდი პროფესიული განათლების მასწავლებლით გაზარდა**. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი: 22 — პროფესიული მოდულის, 8 — ზოგადი მოდულის, 2 — ქართული ენის მოდულებისთვის, მათ შორის 3 პროფესიული მასწავლებელი განსაზღვრულია პროფესიულ და ზოგად მოდულებზე. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი განმახორციელებელი პირი. სასწავლო გეგმისა და გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე, ასევე მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ დებულებით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა, მისი ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

დირექტორის ბრძანებით დამტიცებულ პროგრამის პაკეტს(ბოლო ცვლილება შეტანილია 17/09/2026 წლის № 0001/110 ბრძანებით) თან ახლავს დანართი 27, რომელშიც წარმოდგენილია განმახორციელებელი პერსონალის დეტალური სია და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განმახორციელებელ პირებს და შეისწავლა მათი პირადი საქმეები. გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადასტურდა განმახორციელებელ პირთა შესაბამისი ცოდნა, უნარები და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, ასევე მათი ინფორმირებულობა ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ და აღნიშნული ფუნქციების შესრულება.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. პირადი საქმეებით დასტურდება მათი შესაბამისი განათლება და/ან სწავლებისა და/ან პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ ტრენინგები თემაზე **„სწავლება და შეფასებაზე“**, რაც ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების მიმართულებით მათი კომპეტენციების განვითარებას.

ამასთან, **ახალად დამატებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან 2026 წლის 10 სექტემბერს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებულია ტრენინგი**, რომლის ფარგლებში მათ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამის სპეციფიკის, განხორციელების მიდგომებისა და შეფასების საკითხების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენციები როგორც დარგობრივი, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ინტერვიუებისას მასწავლებლებმა გამოავლინეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების შესაბამისი მიდგომების ცოდნა.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების, პირადი საქმეების შესწავლისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ჰყავს დაწესებულების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც შესაბამის სფეროში მუშაობის, ისე სწავლების გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს დაწესებულების შიდა რეგულაციებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. ასევე დადასტურდა მისი მონაწილეობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების პროცესში და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ შესაბამისი ცოდნა.

პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ **დაწყებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ახალ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის სამუშაოები**. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროგრამის განახლებისა და ახალ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი დაგეგმილია დასრულდეს **2026 წლის ბოლომდე**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებებისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პროგრამის ეფექტიანად მართვისთვის საჭირო გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა, დაათვალიერა დაწესებულების ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. დარგის ექსპერტის მიერ, შერჩევითი პრინციპით, გადამოწმდა პროგრამის ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. რესურსების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც **ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმით**. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, **ელექტრონულ წიგნებზე წვდომა უზრუნველყოფილია QR კოდების საშუალებით**. შესაბამისი QR კოდები განთავსებულია დაწესებულების **ფოიეში, დერეფნებსა და სასწავლო აუდიტორიებში**, რაც პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მათთვის მოსახერხებელი ადგილიდან სწრაფად მიიღონ წვდომა ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებზე.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია **4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა**, ასევე მოწყობილია პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინფორმირებულობას ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის პირობების შესახებ.

ბიბლიოთეკართან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტებისთვის და მათი გამოყენება შესაძლებელია, როგორც ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსების, ისე ელექტრონული ფორმატის საშუალებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული დათვალიერების, საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმებისა და ბიბლიოთეკართან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ორგანიზება რეგულირდება **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“**, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად სასწავლო რესურსების ადაპტირებისა და შესაბამის ფორმატში წარმოდგენის შესაძლებლობას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სასწავლო მასალის მომზადება გაზრდილი შრიფტით, აუდიო-ვიდეო ფორმატით, გამარტივებული ტექსტის სახით, ბრაილის შრიფტით და სხვა ალტერნატიული ფორმატებით.

დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობა სასწავლო რესურსების ადაპტირების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსის შინაარსობრივ და ფორმატობრივ მორგებას პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მათ შორის ტექსტის გამარტივებას, ვიზუალურად აღქმადი მასალის მომზადებასა და შესაბამისი ალტერნატიული ფორმატის გამოყენებას.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ბუღალტრული აღრიცხვა“ სსსმ პირი არ ირიცხებოდა**, შესაბამისად, კონკრეტული სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე ადაპტირებული სასწავლო რესურსების გამოყენების პრაქტიკული შემთხვევა არ გამოვლენილა.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული რეგულაციები და არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე, ხოლო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობის შემთხვევაში — აღნიშნული გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე, მათ საჭიროებებთან შესაბამისი ფორმით წვდომას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ფინანსური რესურსი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამისთვის შემუშავებულია **საპროგნოზო ბიუჯეტი**, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილებს. ბიუჯეტის გაანგარიშება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის შემთხვევაშიც პროგრამის განხორციელებიდან მიღებული შემოსავლები უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 11 პროფესიულ სტუდენტს**.

ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების სწავლის საფასური ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, მასალებისა და ნედლეულის შეძენა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიპლომის დანართის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება და სხვა, მათ შორის, გაუთვალისწინებელი ხარჯები.

წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური საჭიროებები და მათი დაფინანსების შესაბამისი წყაროები. აღნიშნული ქმნის პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და მისი უწყვეტად განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ სრული პაკეტი, დამტკიცებული შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის №01/34 ბრძანებით; პროგრამაში ბოლო ცვლილება შეტანილია 2026 წლის 17 სექტემბრის №01/110 ბრძანებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ ხელმძღვანელის 2025 წლის 27.08 N 01/78 ბრძანებით , ცვლილებები შესულია ხელმძღვანელის 2025 წლის 29 დეკემბრის №01/134 ბრძანებით;
- შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულება“, დამტკიცებული დირექტორის 2024 წლის 1 აპრილის №01/1 ბრძანებით; ბოლო ცვლილება შეტანილია დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს №01/79 ბრძანებით, ცვლილება შეტანილია 09/02/2026 წლის დირექტორის ბრძანება N 01/14;
- „შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ საშტატო თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს №01/79 ბრძანება , ცვლილება შეტანილია დირექტორის 27/07/2026 წლის ბრძანება N 01/77
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის №01/12 ბრძანებით;
- სასწავლო გარემოებისა და აუდიტორიების დატვირთვის ცხრილები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- მატერიალური რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

05.10.2026წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: